# სამშობლო

წ. I 1915 წ. კვირა 17 მაისი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] ფასი; სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 81 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 81


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მიჩჩევის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

კვირას, 17 მაისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

ვლადიმერ (პავლე) ბესარიონის ძის

### კ ა ხ ა ძ ი ს

სულის მოსახსენებლათ, რასაც ვაუწყებთ განსვენებულის ნათესავთ, მეგობრებთა და ნაცნობთ. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე.

1—1—218

---

გულდამწვარნი: დედა, ცოლი, შვილები, დები და ძმები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 18 მაისს, დილის 9 საათზე ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი გერმანიის საზღვარზე მიღებულ ჭრილობიდან გარდაცვლილი გიორგის ჯვრის კავალერიის შტაბს-კაპიტანის

ალექსანდრე დანიელის ძის ბეთანოვის

სულის მოსახსენებლათ.

1—1—303

---

ტერეზი იოსების ასული ვაჩაძისა, სალომე იოსების ასული ბენდუკიძისა, ანა იოსების ასული ბენდუკიძისა, მარიამ იოსების ასული ჯოხონელიძისა, ივლიტა ლევანის ასული ვაჩაძისა შვილებით: ალექსანდრე, იოსებ, დავით, გიორგი, სამსონ ფარნაოზის ძენი, მარიამ ფარნაოზის ასული და ვარვარა ფარნაოზის ასული აბულაძისა აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთა და მეგობართ, პირველნი საყვარელი მამისა, მეორე მამამთილისა და უკანასკნელნი დაუვიწყარი ბაბუის

იოსებ გიორგის ძის ვაჩაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს $6^1/_2$ საათზე. გამოსვენება კვირას, 17 მაისს, საღამოს 4 საათზე, საკუთარ სახლიდან, თფილისის ქუჩაზე.

3—3—217

---

ქ ა ლ ა ქ ი ს თ ე ა ტ რ ი.

კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო

### — ს ა ღ ა მ ო. —

ოთხ განყოფილებათ.

1. სალიტ. განყ. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მწერლები, წაკითხული იქნება აკაკის უკანასკნელი ლექსები და ჯაჯუ ჯორჯიკიას ახალი მოთხრობა. სალიტერატურო განყოფილება იქნება გაყოფილი ორ ნაწილად. პირველათ გამოვლენ ბელეტრისტები—შემდეგ—მგოსნები. 2. საკონცერტო განყოფილება. იმღერებს ცნობილი მომღერალი გალ. თუთბერიძე, ბ. გავაშელაშვილი, ვ. ჯოჯუა და ტრიო (სამი ხმა) შეასრულებს რამდენიმე სიმღერას. 3. იუმორისტულ განყოფილებაში წაკითხული იქნება გურული და სხვა საოხუნჯო სცენები. მსახიობი ნემო და ვ. ტყეშელაშვილი შეასრულებენ საამდროისო კუპლეტებს „ვაი-უის" ხმაზე და 4. დასასრულ გ. არადელი იშხნელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება აკვ. ცაგარლის პიესა,

### — მ ა თ ი კ ო. —

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

### კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

---

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი"

ხუთშაბათიდან, 14 მაისიდან, ახალი დიდი პროგრამა

— გ ო მ ო ნ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა № 42 —

სენსაციური სურათი „ნორდისკისა".

### ცხოვრება არ იცდის

ძლიერი დრამა სამ ნაწილათ, გამოცემა ცნობილი ქარხნის „ნორდისკისა" კოპენჰაგენში. სურათი ნაჩვენები იქნება გამოჩენილ მსახიობის იონზანსენის მონაწ.

— კ ი უ ყ ვ ა რ უ ლ ი ს ჭ ი ა —

ძლიერ კომიკური სურათი. დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე.

ანონსი: ორშაბათიდან, 18 მაისიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი ბ ე დ ი ს - ა მ ა რ ა. მხატვრული დრამა 4 ნაწ. პიერ-სალიას ცნობილი რომანიდან.

---

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

### ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილი გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობა'; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საშაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაუღიდ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში" ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამობით.

---

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი

ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძნობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი.

7—4

---

ექიმი ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

კაბინეტი მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი ორთქლის ვანა, რომელიც სჭრის სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. აგრეთვე ვუცრი ყვავილს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, დორთქიფანიძის სახლი. თ.

---

დ. ყვირილაში.

### სტუდენტი

ვარლამ ფერაძე

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან ვამზადებ მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

მისამართი: ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი.

14—14—187

---

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

---

კბილის ექიმები

### მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დ რ ო ე ბ ი თ ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

---

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

გამოცდილი რუსი ქალი

— მასწავლებელი —

სპეციალისტი რუსულისა და მატემატიკის საგნებში ამზადებს ეგზამენებისთვის და ხელმეორე გამოცდებისთვის მოსწავლე ქალებს და ვაჟებს ყველა კლასისთვის. მისამართი: ივანოვის ქუჩა, გაბუნიას სახლი.

4—2

---

## ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 15 მაისი. მთავარსარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში 13 მაისს საღამოთი ჩვენ დავიკავეთ გამაგრებული პოზიცია ბუბიესთან. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 მეტი გერმანელი. ქვემო დუბისაზე ცხარე ბრძოლაა. გალიციაში ბრძოლა სანთან გრძელდება წინანდებურათ. 14 ს ჩვენი ჯარი შეტევას დაადგა სანიავის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. მტერს დიდი ზარალი მიაყენა და მისი სიმაგრეები დაიპყრო. ჩვენმა საჭელოვანმა კავკასიის მესამე კორპუსმა ტყვეები წამოიყვანა. გუსაკოვის აღმოსავლეთით, ზლატკოვიცში, მტერმა შესძლო ჩვენი ორი ბატალიონის სანგრების დაკავება. დნესტრის დიდი ჭაობებისა და დოლინის ფრონტზე მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ და მხოლოთ ზოგიერთ ადგილებზეა კიდევ გამაგრებული ჩვენი მავთულებიანი სიმაგრების წინ. ახლათ მიღებული ცნობით კავკასიის მესამე კორპუსმა იერიშით დაიკავა სენიავა, სადაც კიდევ წამოიყვანა 1000 ტყვე.

### კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 15 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ვანის გზით ჩვენმა ჯარმა დაიკავა ვასტანი და მტრის დევნის დროს ხელთ იგდო სამი ზარბაზანი. ოსმალონი დამარცხდნენ აგრეთვე სერისირტაკის რაიონში. დილმანიდან ჩაავერსკისკენ დევნის დროს დავიკავეთ სოფ. ბეჟირგა. ვანის აღების დროს ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო 26 ზარბაზანი და მრავალი თოფები, თოფის წამალი და მთავრობის კასა. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

### იტალიის ასპარეზი.

რომი. 15 მაისი. ტიროლის საზღვარზე არტილერიის ბრძოლაა. ტრიენტის ოლქში ჩვენ დავიკავეთ საზღვარს იქითა ტერიტორია კიზერის შესართავს ზევით. ამის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ მთა-გორიანი ადგილი იდრო და გარდას ტბებს შუა. ფილუის საზღვარზე ჩვენ დავიკავეთ გრადე. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს ტრიესტისა და სებრეზინის ხაზზე და უვნებლათ დაბრუნდენ.

### რუსების ვანში შესვლა.

ჯულფა. რუსების ვანში შესვლის დროს სომხის ადგილობრივი მცხოვრებნი ეპისკოპოზის მეთაურობით და სამღვდელობით ჯარს მიეგებენ. ჯარს პურმარილი მიართვეს. ქალაქის დიდი ნაწილი ცეცხლმა მოსპო. რუსეთის საელჩო გადარჩა. ქალაქის გასაღები იგდირში გაგზავნეს.

### ალბანელების დაცემა.

ნიში. 14 მაისი. ალბანელთა ბრბო თავს დაეცა სერბიის ბლოკჰაუზებს. ალბანელები უკუაქციეს, მაგრამ ისინი ისევ ირაზმებიან. ასზე მეტი ალბანელნი თავს დაეცა სერბიის რაზმს რასტოლიცესა და ჩიტროლიცეს შუა, შეიჭრენ ბუკტერიცის ხეობაში, მაგრამ აქედან ისინი უკუაქციეს.

**პარიზი.** 14 მაისი. გუშინ საღამოთი დიქსმიუდეს ჩრდილოეთით ბელგიელებმა მოიგერიეს გერმანელთა ორი იერიში, გერმანელთ პირველ იერშს მოჰყვა ბელგიელების კონტრიერიში, მეორე იერიში კი შეჩერებულ იქნა. სუშეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგარი და შტატოკარდლთან კი ტყვეები წამოვიყვანეთ. ნევილსენვასტის აღმოსავლეთით გერმანელთ სცადეს იერიშის მოტანა, რომელიც ჩვენმა არტილერიამ შეაჩერა. ფრონტის სხვადასხვა ადგილებში, უმთავრესათ რემსის მახლობლად და ვოგეზებში არტილერიის ბრძოლა იყო. ჩვენმა საჰაერო ესკადრამ, რომელიც 18 ჰაეროპლანებისაგან შესდგებოდა და თითოეულს თან 50 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ქონდა, იერიში მიიტანა ლუდვიგჰაფენის ქიმიურ ნივთიერებათა ქარხანაზე. იერიში სახეირო იყო. ყუმბარები რამდენიმე შენობაზე დაეცა და ცეცხლი გაუჩინა. ავიატორები ჰაერში დარჩენ 6 საათს და 400 კილომეტრის მანძილი გაიფრინეს. ეს ექსპედიცია გერმანელთა პარიზზე თავდასხმის საპასუხოთ მოხდა. ბელგიაში, იზერის არხის გასწრივ არტილერიის ბრძოლაა. ბრასის ჩრდილოეთით აღსანიშნავია რამდენიმე ცხარე ბრძოლა, რომელითაც ჩვენ ხელახალ სახეირო შედეგს მივახწიეთ. ანგარის რაიონში მტერმა ორჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ ორივეჯერ მოვიგერიეთ. ჩვენ გავამაგრეთ დაკავებული პოზიციები. გუშინდებურათ დღესაც გერმანელეას დიდი ზარალი მოუვიდათ. აბლენის სამხრეთ დასავლეთით ჯარის ენერგიული იერიშით გუშინ კარანსი და აბლენის დიდი ნაწილი დავიკავეთ. ჩვენ დავიკავეთ გერმანელთა სანგრები სასაფლაოს წინ და წინ წავიწიეთ სასაფლაოს იქითაც. ტყვეთ წამოვიყვანეთ 400 გერმანელი, მათ შორის რამდენიმე აფიცერი; ეპიურ როლენკურის რაიონში არტილერიის ბრძოლაა, არასსა და ვოგეზებს შუა სიწყნარეა.

**კრამარჟას დატუსაღება.**

**სტოკჰოლმი.** „ფოსსიშე ცაიტუნგს“ ატყობინებენ, რომ პრაგაში დაატუსაღეს დეპუტატი კრამარჟი. კრამარჟის გარდა დაატუსაღეს აგრეთვე სოკოლის თავმჯდომარე შაინერი.

**დ ა რ დ ა ნ ე ლ ი.**

**ათინა.** 15 მაისი. 22000 ინგლისელი და 18000 ფრანგი ამჟამათ იმყოფებიან კრიტიიდან ატსიბაბის ხაზზე, ნახევარ კუნძულის ათი კილომეტრის გასწრივ. მოკავშირეთა ჯარმა ბრძოლის შემდეგ დაიკავა რამდენიმე სიმაგრე კრიტიის და კუბატებეს სიმაღლეებს შუა. მოკავშირეთა ფლოტი ხელს უწყობს მოკავშირეთა ჯარს საროსის ყურესა და სრუტეებში ჯარის გადასხმის დროს. ოსმალთა დანაკლისი დიდია.

**გერმანიის ცნობის უარყოფა.**

**პეტროგრადი.** 15 მაისი. გერმანელების ცნობით მიდიის ყურეში ბოსფორთან რუსეთის სანაპირო გემი „პანტელეიმონი“ დაიღუპა მთელი 1400 კაცის კომანდით. ეს ცნობა ჭორია. არა თუ „პანტელეიმონი“, არც ერთი რუსეთის გემი ძრ დაღუპულა და არც არავითარი ზიანი მიუღიათ. იმ დღეს „პანტელეიმონი“ არც კი მიახლოვებია ბოსფორს და ჩვენ პორტში იმყოფებოდა.

**ცნობა ჯავშნოსნის დაღუპვის შესახებ.**

**ათინა.** 15 მაისი. ინგლისის ჯავშნოსანის დაღუპვის გამო ცხადია, რომ ეგეის ზღვაში ავსტრიის წყალქვეშა ნავები იყვენ. შეიძლება, მიუხედავათ ტეხნიკურ დაბრკოლებათა, გერმანელებმა მოაწყვეს სტამბოლში წყალქვეშა ნავების კეთება.

**ინგლისის ჯავშნოსანის დაღუპვა.**

**ლონდონი.** 15 მაისი. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ დღეს დილას წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ინგლისის ჯავშნოსანი „მაჟესტიკი“, რომელიც მონაწილეობას იღებდა გალიპოლის ნახევარ კუნძულის სამხედრო მოქმედებაში. თითქმის მთელი კომანდა გადარჩა.

**სტოკჰოლმი.** 14 მაისი. ინგლისის ელჩმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სტატსეკრეტარის პასუხი შვეციის ნეიტრალიტეტის შესახებ. 1914 წ. ივლისის დამლევს ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის მთავრობებმა დაარწმუნეს შვეციის მთავრობა, რომ ისინი უზრუნველყოფენ შვეციის დამოუკიდებლობას და ხელუხლებლობას ახლაც და შემდეგშიაც, სანამ შვეცია ნეიტრალიტეტს დაიცავს.

**პარიზი.** პუანკარემ მიიღო იტალიის კოლონიის დელეგაცია. დელეგაციამ პუანკარეს გადასცა ადრესი, რომელშიც გამოთქმულია საფრანგეთისადმი სიმპატია.

**პარიზი.** 14 მაისი. ავიატორებმა 49 ყუმბარა ჩამოაგდეს ლუდვიგჰაფენის ქარხნებზე და 39 ონნაუზე. ყველა ყუმბარებმა მიზანს მიახწიეს. ავიატორების სიტყვით, კვამლი მოსჩანდა ლუდვიგჰაფენიდან და ონნაუდან. მტერი დაედევნა ჰაეროპლანებს, ყველანი უვნებლათ დაბრუნდენ გარდა ერთისა, რომელიც ლუდვიგჰაფენთან ძირს დაეშვა და რომელიც ალბათ მტრის ცეცხლმა დააზიანა.

**ინგლისის კაბინეტის პირველი სხდომა**

**ლონდონი.** 14 მაისი. შესდგა პირველი სხდომა ახალი კაბინეტისა ასკვიტის თავჯდომარეობით.

**დარდანელი.**

**ლონდონი.** 14 მაისი. ოსმალებმა ითხოვეს დროებით ზავის ჩამოგდება მოკლულთა დასასაფლავებლათ. დაასაფლავეს 3000 მეტი მოკლული, ზავის დროს ჩვენ ავკრიბეთ 12000 თოფზე მეტი.

**ოსმალოთა კონსულების დაკავება.**

**რომი.** 14 მაისი. „კორიერდელასერა“ სამხედრო მოქმედების შესახებ მიმოხილვას იძლევა და ამბობს, რომ იტალიის ჯარი ახლა ასწორებს სამხედრო მოქმედებისათვის არა სასარგებლო საზღვარს. ბრინდიზიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის კონსული გავიდა და მის სახლს ოტომანის ღერბი ჩამოაგლიჯესო. პიაჩენციდან იუწყებიან, მთავრობის განკარგულებით დააკავეს გენუის, ბოლონიის, ბარის, ლივორნოს კონსულები, რომელნიც შვეიცარიაში მიდიოდენ. ეს ზომა მიღებულია იმის გამო, რომ ავსტრიელებმა არ გაანთავისუფლეს იტალიის კონსულები. ტრიესტის 149 მცხოვრები იტალიელი, ავსტრიელებმა დააკავეს.

**ინგლისის გემის დაღუპვა.**

**ლონდონი.** 14 მაისი. ინგლისის დამხმარე გემ „ირენაზე“ აფეთქება მოხდა, გადარჩა მხოლოდ ერთი. შიშობენ რომ დაიღუპა 200 კაცი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბაზელიდან იტყობინებიან: რადგანაც პრაგაში ამბოხება მოხდა, ქალაქის გარნიზონი გერმანიის ჯარით შესცვალესო. ჩეხიაში ბევრი დააპატიმრეს.

— —

ჟენევიდან მოსული ცნობით, ავსტრიის აფიცრები და ჯარისკაცები დიდგაჭირვებას განიცდიან, რადგანაც ჯამაგირის მიცემას უგვიანებენ. ცნობაა—ავსტრიის სამხედრო ფონდი იმდენათ შემცირდა, რომ ფიქრობენ ვენაში ყველა დაწესებულების ხარჯი შეამცირონ. განზრახვა აქვთ აგრეთვე აფიცრებს მისცენ მხოლოდ ნახევარი ჯამაგირი, ჯარისკაცებს-კი ფულის მაგიერ დაურიგონ ჰურნახული.

— —

ოსმალეთის მთავრობა უკიდურეს ზომებს მიმართავს, რათა თავიდან აიცილოს თავზე დატეხილი მეხი. როგორც „ზარია“ იტყობინება, მცირე აზიაში ვანის მიდამოებში მცხოვრები 18 წლის ქურთები ომში გაიწვიეს და ამ უკანასკნელთაგან შემდგარი პოლკები ერზერუმისკენ გაგზავნესო.

უნუგეშო მდგომარეობამ აიძულა ოსმალეთის მთავრობა განძეულობა და საბუთის ქაღალდების ვანიდან ბითლისში გადაეტანა. ვინაიდან შეძლებული ოსმალები მცირე აზიით შუაგულისკენ გადიან.

**პირველი შეტაკება იტალიელებისა და ავსტრიელებთან.**

ჟენევიდან ცნობაა—ალპის ოლქებში უკვე დაიწყო პირველი შეტაკება იტალიის პარტიზანულ და ავსტრიელების საზღვარზე მდგომს რაზმებს შორისო უკანასკნელი ცნობით, ტიროლში მცხოვრები იტალიელები ყველანი შეიარაღდენ და დიდ სამხედრო ნაკლსაც წარმოადგენენო.

**საიდუმლო ნაღმოსნები.**

ვენეციიდან იტყობინებიან, რომ ლიდოს კუნძულის ნაპირებთან ღამით ორი საიდუმლო ნაღმოსანი აღმოჩნდაო. კუნძულიდან ბატარეამ ზარბაზნები დაუშინა, რის შემდეგაც ნაღმოსნები საჩქაროთ მიიმალენ.

კოპენჰაგენში ცნობა მოსულა, რომ ტრიესტში მყოფი იტალიელები, მუნიციპალიტეტის წევრები—ყველა დააპატიმრესო, ყველას სახელმწიფო ღალატის ბრალდება წაუყენეს. მოელიან დიდ-პროცესს.

— —

კოსტანტინეპოლიდან ცნობაა, რომ იტალიის მისიის სკოლები და ბანკები ოსმალეთში ოსმალეთის მთავრობამ დაკეტა და ქონება ჩამოართვაო.

— —

კოსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ ათასი იტალიელი დააპატიმრა და ციხეში მოათავსაო. მათ სასტიკ თვალყურს ადევნებენ.

— —

გაზეთების ცნობით, შვეიცარია დაეთანხმა დაიცვას გერმანელების ინტერესები იტალიაში და იტალიელების—გერმანიაში.

— —

კოპენჰაგენში მისული ცნობით, 8,000 იტალიელი მოხალისეთ ჩაეწერა ჩერნოგორიის ჯარში.

**გამოქცეულ ებრაელების მდგომარეობა.**

ლომჟიდან სწერენ: გამოქცეული ებრაელების მდგომარეობა ფრიად უნუგეშოა. საჭიროა დაუყონებლივ დახმარება. ამჟამათ ლომჟის გუბერნიაში მოსკოვის კომიტეტის რწმუნებულები მუშაობენ ებრაელების დასახმარებლათ. მათი მუშაობა განისაზღვრება მხოლოდ ოთხი ქალაქით. პირველათ თითოეულ გამოქცეულს ეძლეოდა დახმარება სამი მანეთი, რაც დღევანდელ სიძვირის დროს სრულებით ვერ აკმაყოფილებს უსაჭიროეს მოთხოვნილებას. ამჟამათ ოსტროვსა და კოსტროლენკოში კომიტეტმა სხვა გვარი დახმარება შემოიღო: დახსნეს საზოგადო დუქნები, საიდანაც თითოეულ პირს ბარათით ეძლევა სამ მანეთად დირებული სანოვაგე.

**შეერთებული შტატები და გერმანელები.**

„პვენინგ ნევს“ იტყობინება, რომ შეერთებული შტატებიდან 40,0000 იტალიელი დაბრუნდა ევროპაში. ამის დღეყებიდან გერმანია-ამერიკის დამოკიდებულობა თანდათან [illegible]

„დეილ ნეუსი“ [illegible] კელმა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, მოწერილობა მიიღო, რომ გერმანია დასტოვოს.

— —

ამერიკის გაზეთები თავის დასაბუთებულ წერილებში სწერენ: ამერიკის ომში ჩარევის საკითხი ვაშინგტონის მთავრობამ დიდი ხანია შეიმუშავაო.

ამერიკა და მისი მცხოვრებლები იტალიის გამოსვლის დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

იტალიის გამოსვლა გერმანიის პასუხს ამერიკის ნოტაზე შესაფერათ შესცვლის. ამერიკა დამტკიცებით მოითხოვს თავის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას გერმანიისაგან, თუნდაც პირველისაგან იარაღით გამოსვლა მოითხოვოსო.

— —

ბულგარეთის გაზეთების ცნობით, კოსტანტინეპოლში სახადი მძვინვარობსო, განსაკუთრებით ჯარისკაცები არიან ავათ ამ სენით.

— —

რუმინიის გაზეთების ცნობით, იმპ. ვილჰელმი ამ ჟამათ გალიციაშია იმყოფება და მაკენზენის ჯარის ნაწილს ხელმძღვანელობსო.

— —

ტრენტონოდან მალური ცნობით, ტიროლის სატახტო ქალაქი ინსბრუკი ლაზარეთებითაა სავსე. ქუჩები სავსეა დაჭრილებით. სდგას საშინელი სუნი წამლებისა.

ტიროლელებმა უარყვეს მშვიდობიანათ დაუთმონ იტალიელებს ტრენტინო.

ქალაქი სამხედრო ბანაკათ არის გადაქცეული. სდგას 18000 ჯარისკაცი. აგეთებენ სიმაგრეებს, ქალაქის ნორმალური ცხოვრება სრულებით შესწყდა.

## უკრაინელთა (მოლოროსთა) სეპერატისტობა.

გაგრძელება, იხ. „სამშობლო“ № 80.

მილიუკოვი ამ მოწოდების ავტორათ უკრაინელთა ახალგაზდა ნიჭიერ მწერალს, დონცოვს თვლის. ამ მოწოდების სტილიც და იდეიაც ისეთივეა, რაც დონცოვის ვრცელ ბროშიურისა, რომელიც უკრაინის სახელმწიფოებრივ იდეიას და რუსეთის წინაღმდეგ ომს შეეხება. (გამოცემულია 1915 წლის იანვარს, ქ. ბერლინში).

და აი ვისაც სურს გაიცნოს, თუ რა-

## საკვირაო ფელეტონი.

### იმერელის გოდვა.

რა ვქნა, წარსულ კვირას დაგპირდითყე, რომ ჩემს პატრონზე შემდეგ მოგახსენებთქო და უნდა გითხრაყე მეტი გზა არა მაქვს, იმისთანა პატრონი რავა შეიძლება, მაგალითად, როგორც ცოლი ისე ვუფხთილდებოდი იმის წყენას, რავარც კაი პრისტავისას, თუ გაგიწყრა ღმერთი და პრისტავს აწყენიე, რაც უნდა კარგი მეგობარი იყოს შენი, მაინც წაგყრონჭავს და ცოლი, თუ გაგიწყრა ღმერთი და ერთი ვინმეს უხაჟივანიე უქენი, მშვიდობით, რაც უნდა ანგელოზი კაცი იყო, რომ მოგაკერებს ჟესტს, წადი და ახრაგუნე ბრაზიანი ძაღლივით.

პირველ მაისს დამემართა სასაცილო საქმე. გათენებამდის კიდევ სწორეთ ერთი საათი იქნებოდა, აფხაკურდა ჩემი ცოლი, შევხედე—იცვამს, გავტრუნე სული, იმე თავზე შალს იხურავს, გევიკრუსუნე, გამევიკრუსუნე, წამოვწიე თავი, ვითომ მაშინ დავინახე.

— ქალო სად ეწყობი ამ შუაღამეზე, სად მიდიხარ-თქვა—ვუთხარი.

არ მოგეცეს ჰირი ხმა არ გამცა.

— არ გესმის, ქალო-თქვა? შევეკითხე კიდო. არ ამეიღო ხმა. გევხედე—გაალო კარები და მიდის. იმე!.. არ მიამა. მე ვთქვი თუ ვაწყენიე რამეეე... წუხელის ქე მცემდა ხმას და ახლა რა მოეჩვენა-მეთქი. გევიდა ბალკონზე... წამოვდექი, გოუყარე ფეხი წუღებში, გევედი კარებში, კიდევ მივაძახე, ქალო სად მიხვალ? არ მოგეცეს ჰირი არ გამცა ხმა, გადვიდა ქუჩკარზე. მე ვთქვი: ან მღალატობს, ვინცხას დოუბარებია, ან და ნამდვილათ დევილუპე კაცი ჰკუაზე შეიშალა-მეთქი. შემოვბრუნდი სახში, წამოვიცვი ჩოხა და გევეკიდე. მიდის, მივდევ, უყვირი მეიცა, მეიცა-მეთქინ. არ მოგეცეს ჰირი. არ მცემს ხმას. დაალირა თავი და რიონისაკენ მიდის, გაუჩქარე ფეხს: ნამდვილათ თავს იხრჩობს-თქვა, მივედი რიონის პირზე... ვთქვი დოუხვდები წინ-თქვა, მარა მიმასწრო, ჩაჯდა და დაიწყო პირის ბანა. გევხედე, ორმოცი მეტი ქალია, ერთმანეთს ხმას არ სცემენ და პირს ქე იბანენ, ოუყვირე ჩემს ქალს, ეე!.. მაშინ მომიბრუნდა და მითხრა: კაცო რა გაღრიალებს, დღეს პირველი მაისია და ყველამ უნდა ხმა გაუცემელი მივიდეს მდინარესთან და პირი უნდა დაიბანოსო.

— ვაი შენ და ჯანდაბა შენ პირის დაბანას-თქვა!—ვთქვი, მე მეგონა სწორეთ გამექცა ქალი-თქვა და შეხედე რა ყოფილა-თქვა.

მოვიხედე, რას შეხედავ? ყველა ქალების ქმრები ატუზულარიან და უყურებენ ცოლებს, გამოვბრუნდი უკან და ვთქვი: მე მეგონა კაი პატრონი მყავდა და თურმე ისიც ჟავისებური პატრონი არა ყოფილა-თქვა?!..

ღმერთმა რომ ქვეყანა შექმნა ყველაფერს თავის უფროსი და პატრონი გოუჩინა, ყველასი საერთოთ კი პატრონი თვით ღმერთია, მარა ნამდვილათ იმ დროს ქართველებისათვის, — დაავიწყდა თუ რაცხა,—პატრონი არ გოუჩინა...

კაცო, რომ ასე არ იყოს და ჩვენ პატრონი გვყავდეს, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდებოდა და პორუსკობას დავიწყებდით?! გეიხედეთ ბულვარდზე და ქუჩებში... რავა ბირტყილობენ გუშინდელი გამოჩეკილები ძღაბები და ბიჭები, რავაა შენი ზდაროვია დუშკა,—ნიჩევო, ქე ვარ ზდაროვათ.

— შენ რავა პაჟივაეშ?

— რაზუმეეცათ რომ არ ჟავიოთ.

აბა, თუ გაიგონებთ გადამბულს სამ სიტყვას ქართულათ, სადაა იმათი პატრონი?

მერე რა გგონიათ თქვენ რატომ ვართ ესე დოუდევრები? იმიტომ, რომ პატრონი აღარა გვყავს.

ახლა ზოგიერთები იტყვიან: ფილიპე ბარბაქაძე ტყვილს ამბობს, ყველას პატრონი ყავსო, ბრანწი თქვენს საქმეს, აბა თუ ბიჭი ხარ და ჩვენი მეეტლეების პატრონს მიჩვინეთ, აბა მიბრძანდი და უთხარი არქიელის გორაზე, ან გაბაშვილის გორაზე (გოჭოურას რომ მოგახსენებენ), ან გენერლის და ივანოვის ქუჩისკენ უთხარი წამიყვანეთქო, იმ წამში გეტყვის ან „ზანიათი“ ვარ, ან და ცხენები მყავს დაღალულიო, თუ დოუჯინდი და წეიყვანე, მისავალთან რომ მიაშეშდება, უწრუპუნე ცხენებს რამდენიც გინდა, ის გასატყავები თითქოს პატრონს უწავლებია, ფეხს ველარ გადაადგმევინებ. ახლა პოვეზდით თუ მოდი ღამე მაინც, ჯერ ვერ იშოვი და თუ იშოვე ფაიტონი, ვაი იმისთანა შოვნას; ორი ტაქსის ოდენას მოგთხოვს და თუ მიეკი სულ პირჯვრის წერით და ლოცვით უნდა ჩაჯდე, რომ სანამ სახლში მიგიყვანდეს ან ბორბალი მოძვრება, ან ღერძი გაუტყდება, ან თლათ გადაბრუნდება. ან რამ დალეწა ასე უბედუ რათ ეს ფაიტონები და ან სად იყო ამდენი ბრუტიანი ცხენი, წრუპუნით ქუჩრებს ტუჩები გადმობრუნებული აქვსთ, კნუტის მაგიერ ხომ სარი უკავია ხელში და რომ ბრიგავს გახრიგნულ გამხმარ ცხენებს, ბაყაბუყი გაუდის, მარა მიდის?! აჲ! არ მოგეცეს ჰირი. მერე რისაგან არის ეს?! რისაგან და პატრონი არ ყავს არა, გეგონე ყურში არც მეეტლეებს და არც გოჭოურას.

როგორც ზევით მოგახსენეთ მეც ხომ აღარა მყავს პატრონი და პაჟალუსტა, როცა მოვკვდე მიპატრონეთ და ჩემს კუბოს საფიჩხის უპატრონო ქუჩაზე ნუ გაატარებთ, თვარა ღმერთმანი სასაცილო საქმე დაგემართებათ: თუ ფეხი დაგიცდათ და კუბო გაგივარდათ ღმერთი რჯული მცურავები უნდა იშოვოთ,—გამომათრიოს, თუ ბარდახინზე დამდევით საცოდაობა იქნება, ისედაც მინგრეულ-მონგრეული გადაბრუნდება და ჩემ საცოდავი ძვალი არ იქნება. სიკვდილს გარდა ან ხელი მომტყდება ან ფეხი და იმ სოფელს უფეხოთ და უხელოთ მისვლა ძალიან მეძნელება, იქაც არ მინდა დაიძახონ უპატრონო ხარო. ისევე გევედრებით ჰაეროპლანით გამასვენეთ საფიჩხიამდის, თუმცა იმ სასაფლაოსაც აღარ ყავს პატრონი, მარა რა გეეწყობა, მეც უპატრონო, რავარც იქნება მოვთვისდები. და ჩემი გასვენების შესახებ მე კიდო მოვახდენ განკარგულებას.

ვითამ მინდოდა მეთქვა ანდერძს დავტოვებ-მეთქი, მაგრამ რისი ანდერძი დავტოვო რომ არაფერი არ გამაჩნია, თუ ისეთი ანდერძი დავტოვე, როგორც ენუქამ ჩაიდინა ისე გამოვა და ისევ ჩემს ანდერძს პაკეტში ჩადებულს, დაბეჭდილს ერთ ჩემ კარგ მეგობარს ჩავაბარებ და ჩემი სიკვდილის შემდეგ, როცა გაიარს ოცი წელიწადი, მაშინ გახსენით იქ ასე ეწერება: 1. რაც ძველი ტანისამოსი დამრჩეს, გაყიდეთ და ის ფული თანასწორათ დაურიგეთ ჩილინგაროვის კანდიტერის წინ მდგომ ახალგაზდობას, რომ შიმშილით არ დაიხოცონ. 2. როცა ჩემი სიკვდილის შემდეგ ოცი წელიწადი გაიარს და იმის შემდეგ კიდო 40-ცი წელიწადი (ვიცი რომ მანამდის არაფერი იქნება) ქუთაისს ელირსოს „ვოდაპრავოდი“, ელექტრონით განათება და ტრამვაი, ეს სიკეთე მეყავით, ვინმე წამოვა იმ სოფელს და დაიბარეთ რომ ქუთაის ეშველა პატრონი გამოუჩნდა და ვადაპრავოდს თქიშინ-თქიშინი მიაქვს, ელექტრონით გაჭყრიალებულია ყველაფერი, ტრამვაის რიკინ-რიკინი გაუდისთქო ე! მაშინ ვიტყვა ქუთაის პატრონი გამოჩენიათქო, თვარა ეხლა პატრონი იოხტურსან. 3. შამომითვალეთ: ჩვენი ქალები ნამდვილ ქართველ დედათ გადაიქცენ, თუ კიდევ პორუსკობენ, წელზევით ტიტვლათ დადიან და გაჭრილ კაბაში მუხლებამდის ყველაფერს გვიჩვენებენ, ეს პაჟალუსტა ნამდვილათ და გარკვევით შემატყობინეთ რადგან აქედან ძალიან აღელვებული მივდივარ და იქნება იქ დავიმშვიდო გული (მეტი არაა ჩემი მტერი ნეტაი სულ არ გატიტვლდებოდენ და).

4 დაბეჯითებით გთხოვთ: კაცებს ეს წივებში წაჭერილი და ზევით გაფარფაშებული შარვალი მოაშლევიეთ, ვერ გევიგე საით ჯანდაბიდან გადმეიღეს და ან რა ჯურის ხალხს აცვია ამისთანა შარვლები. კურთხეულ არს ღმერთო სახელი შენი! ამდენ უპატრონო ხალხს რა ეშველება? ეს ჩამოთვლილი ოთხი პუნქტი უმთავრეს ანდერძს შეადგენს და რაც დანარჩენი კიდევ სწერია, ის კი როცა მე მოვკვდები და მერე ოცი წელიწადი გაიარს მაშინ წაიკითხეთ ეხლა. კი ფილიპეს მოსვენება უნდა, ნახვამდის.

ჯერ კიდო ფილიპე ბარბაქაძე.

ში მდგომარეობს უკრაინელების „სეპარატისტობა" ანუ „მაზეპინელობა", რა იდეებით სულდგმულობს უკრაინის ინტელიგენციის ერთი ნაწილი, მან უნდა მიმართოს ზემოხსენებულ ბროშურას; ამიტომაც, მილიუკოვის აზრით ღირს, ამ ბროშურაზე შეჩერება, მით უფრო, რომ დონცოვი საკვირველი პირდაპირობითა და გულახდილობით მიდის ბოლომდის და უკიდურეს დასკვნებს აკეთებს. მას ღრმათ სწამს ახლო მომავალში იმ საქმის სრული გამარჯვება, რომელსაც მთელი თავისი არსებით იცავს. მას „უტოპისტობის" სახელი არ აფიქრებს: პირიქით, იგი თამამათ გაიძახის: „ჩვენს მღელვარე დროში უდიდესი და საშინელი უტოპისტი (მეოცნებე) ისაა, ვინც ფიქრობს, რომ ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა შეუცვლელი დარჩება: თითქო „status quo" შეურყეველი რამ იყოს. ნამდვილათ კი დონცოვის რწმენით ახლა თავდება ის ხანა, რომელიც პოლტავასთან უბედური ბრძოლით დაიწყო და რომელმაც რუსეთის იმპერიალიზმს არა ერთი და ორი სახელმწიფო დაუმორჩილა. „რუსეთის ისტორიული მისიის" ზღაპარს და გაშლილ ზღვისაკენ მისწრაფებას დაბოლოს თავისუფალი „უკრაინის" დაარსება აღდგენით დასასრული ეძლევა.

ამ სახით, დაასკვნის დონცოვი, უკრაინის განთავისუფლება ეს შუა ევროპის სახელმწიფოების იმ შიშისაგან განთავისუფლებას მოასწავებს, რასაც ისინი რუსეთის წინაშე გრძნობენ.

დონცოვი ისტორიულათ ამტკიცებს, 1) რომ „უკრაინა" მუდამ დამოკიდებელ სახელმწიფოებრივი იდეიით სულდგმულობდა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას ოცნებობდა, და 2) რომ შუა ევროპა მუდამ ფიქრობდა დაეარსებია დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფო, როგორც საშუალება, რომელიც რუსეთს დაანაწილებდა და მას იმ ჩარჩოებში ამყოფებდა, რომელშიაც ის პეტრე დიდის დრომდე იყო ჩაყენებული.

ბ. დონცოვის სიტყვით, ამბობს მილიუკოვი, უკრაინის სეპარატიზმს ხელს უწყობს ყველაფერი ის, რაც „უკრაინელობას" აღვიძებს და აცოცხლებს. ხოლო თვით „სეპარატიულ" მიმართულებას მხოლოდ მან მისცა დასაწყისი, როცა 1913 წელს ამ საგნის შესახებ საკუთარი რეფერატი წაიკითხა, რომელშიაც ის პირველათ შეეცადა სეპარატიული პროგრამა დაესაბუთებია.

ამასთანავე, დასძენს დონცოვი, უკრაინაში სეპარატიული მისწრაფება იმდენათ უფრო ღვიძებს და იზრდება, რამდენათაც მეტი სისასტიკით სდევნიან „უკრაინელობას".

„უკრაინელობას" კი დონცოვის აზრით მთელი რუსის საზოგადოება სდევნის, ვინაიდან კარგათ ესმის მას, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ეს „უკრაინელობა" პოლიტიკურათ რუსეთისათვის.

ამნაირათ, დონცოვის განმარტებით, „უკრაინელობა" ეს მხოლოდ „სეპარატისტობის" ჩანასახია, რომელიც უნდა განვითარდეს და თავის ბუნებრივ დასკვნამდე უნდა მივიდეს. (ერთი სიტყვით ჩვენებურათ რომ ვთქვათ—უბრალო მამულიშვილობა, ნაციონალისტობა, თუ გინდ ავტონომისტობა ეს „სეპარატისტობას", ე. ი. სრული განცალკევების პოლიტიკის ჩანასახი და დასაწყისიაო. დ.)

ეს რომ ასე იყოსო, წერს მილიუკოვი, მაშინ მე იმ „ნაციონალისტების" წინააღმდეგი არაფერი მეთქმოდა, რომლებმაც „უკრაინელობა" „მაზეპინელობას" გაუთანასწორეს და ორივე „სეპარატისტობათ" მონათლეს. მარა განა ეს ასეა? კითხულობს მილიუკოვი და პასუხს შემდეგისათვის გვპირდება.

დავუცადოთ ჩვენც.

**დ—ელი.**

## კერძო თაოსნობა.

**(ინიციატივა) და მრეწველობა-მეურნეობა ჩვენში.**

ჩვენი ხალხი რომ ყველა სხვა ერებზე ეკონომიურათ ჩამორჩენილია,—ეს დიდი ხნის აღიარებული ფაქტია. ბევრჯერ, ბევრისაგან და ბევრიგამიგონია ამ ეროვნულ უბედურების თავიდან აცილების შესახებ, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის სიტყვებათ დარჩენილან, არავის ნამდვილ საქმისათვის ხელი არ მოუკიდნია და ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობა მხოლოდ ოხვრით ან, შეიძლება, გამწარებულ ჰირისუფლის გამოსახულებით დაგვირგვინებულა. ჩვენ ლითონ სიტყვებს, უბრალო ტრაფარეტების ამოლაგებას ვერ გადავცილებივართ... და ეს იმ დროს, როდესაც საქმიანობა, თანაგრძნობით ჩვენ შეგვეძლო უკეთესათ შემოგვევლო ჩვენი თავისათვის, რადგანაც მინდა ვსთქვა და გავიმეორო, რომ თუ ხალხი ეკონომიურათ ძლიერია—იგი პოლიტიკურათაც ყველგან, ყოველთვის და ყველასაგან ანგარიშ გასაწევია და აკი უწევენ კიდეც.

დღეს კი რანი ვართ ჩვენ?

ღატაკნი, პრაქტიკულ განათლებას მოკლებულნი, ზარმაცი, მამა-პაპურათ მცხოვრებნი და მიტომ პოლიტიკურათაც უსუსურნი, ყველასაგან შეურაცყოფილნი.

დღეს, როდესაც მთელი ქვეყნის ცხოვრების ღერძი შერყეულია და ყველა დიდსა და გაუმჯობესებულ მდგომარეობის მოლოდინშია და მისკენ კიდეც ისწრაფვის,—ჩვენ ამ დროს ჯიბე ცარიელნი, სხვისი ტვინითა, და მოსაზრებით მცხოვრებნი, გულხელ დაკრეფილნი შევყურებთ დღევანდელ დიად ხანას და არ ვიცით ადიდებული, აზვირთებული მდინარე რომელ ზღვას შეგვრევს, სად გაგვაქარწყლებს!..

და ჩვენში რომ მეტი თანაგრძნობა-საქმიანობა იყოს—ეს ასე არ იქნებოდა.

არავისათვის ახალი არ არის, რომ ჩვენი სამშობლო ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებულია. თითქმის ყველა კუთხე ამ ქვეყნისა ცალკე აღებული თავისებურ საუნჯეს წარმოადგენ. ბუნების ნაყოფს მხოლოდ დამუშავება სჭირდება, მიწას მხოლოდ გულის გაღება უნდა და სიმდიდრეც ჩვენი იქნება, სხვის შემნატვრელი არ ვიქნებით.

ჩვენში მეურნეობა-მრეწველობამ უნდა მოიკიდოს ფეხი, ჩვენ მას უფრო უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ჩვენებური ვაჭრები არ არიან კულტურტრეგერები, ისინი არ ქმნიან ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს. პირიქით, ისინი ჩვენ ფულებს სხვაგან აგზავნიან, რადგანაც სხვაგან დამუშავებულ საქონელს ჩვენში ასაღებენ, თვითონ მხოლოდ საკომისიოს ღებულობენ. ასეთი საქმიანობა კი ქვეყანას ვერ გაამდიდრებს, ხალხი სიღატაკეს თავს ვერ დააღწევს.

ჩვენის აზრით ჰიათურის მწარმოებელნი უფრო სასარგებლონი არიან ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის, ვიდრე თფილისისა და ქუთაისის ვაჭრები ერთათ აღებულნი. სარაჯიშვილი და ანანოვი უფრო მეტს სძენს ჩვენს სალაროს, ვიდრე ჩვენი მდიდარი მანუფაქტურისტები ან სხვა რომელიმე დარგის ვაჭრები. ჩვენ სოფელს მეაბრეშუმეობა უფრო მეტს აძლევს, ვიდრე სოფლათ გაჩენილი ათი და ოცი ვაჭარი. ჩვენ მეღვინეობა უფრო გაგვამდიდრებს, ვიდრე სხვისი ნაწარმოების ჩვენში ბლომათ გასაღება.

ჩვენ აქ მისი თქმა კი არ გვინდა, რომ თითქოს სხვაგან დამუშავებულ საქონელს ჩვენში ბაზარი არ ქონდეს, არამედ იმისი რომ ქვეყნისთვის უმჯობესია თუ თვით ადგილობრივ აღორძინებდა მრეწველობა-მეურნეობა, რადგანაც ეს ეკონომიური ფაქტორები თვითონ შემოიტანენ ჩვენში სხვის სიმდიდრეს, სხვის ოქროს... და ქვეყნისათვის ის უფრო სასარგებლო იქნება, თუ ეს მრეწველობა-მეურნეობა, ეროვნულ მშობლიურ კალაპოტში ჩამოყალიბდება, თუ ეს წარმოება თვით ჩვენ ჩაგვივარდება ხელში...

ცხადი უნდა იყოს, მაგ, რომ ჰიათურის წარმოება რომ მარტო ჩვენს ხელში იყოს—უფრო მეტს სარგებლობას ვნახავდით, უფრო მეტს ოქროს ჩავიჩხრიალებდით ჯიბეში... და მრავლათ არიან კიდევ ჩვენში ადგილნი, საიდანაც არა ნაკლებ მრავალი ოქრო ამოიღების.·. მრავალი არიან საქმენი, რომელნიც უეჭველ სიმდიდრესთან მიგვიყვანებენ...

აილეთ, მაგალითად, მეხილეობა... ფრანგ აგრონომიის პროფესორ დიურანის სიტყვით 1900 წელს, მსოფლიო გამოფენის დროს, კალიფორნიიდან გაუტანიათ 327 მილიონი კილო ხილი.—აქედან: 72 მილიონი კილო ახლად დაკრეფილი ნედლი ხილი; 90 მილიონი გამხმარი ხილი; 40 მილიონი გამშრალი ყურძენი (ჩამიჩი); 75 მილიონი კილო ხილის კონსერვი და 50 მილიონი კილო გამშრალი შავი ქლიავი... სულ—საშუალო ფასით—250—280 მილიონ ფრანკათ ღირებული.

საფრანგეთის ხალხს მარტო შავი ქლიავის წარმოება ყოველ წლიურათ 50—60 მილიონ ფრანკს აძლევს...

მკოდნე პირების სიტყვით, ჩვენებური ქლიავი თავის თვისებით არ ჩამოურდება თურმე საფრანგეთის და კალიფორნიის ქლიავს, მას მხოლოთ დამუშავება (გაშრობა-სტერილიზაცია) სჭირდება და იგი აუცილებლათ მსოფლიო ბაზარსაც მოიპოვებს...

ასეთი დამმუშავებელნი ჩვენში არ არიან, მხოლოთ ამ სამი წლის წინათ ბ. იოსებ პავლეს ძე კაკაბაძემ, გაეცნო რა იგი ამ საქმეს საფრანგეთში, გაბედა და იკისრა ამ საქმის ჩვენში დაწყება, გადმონერგვა... მას ნივთიერ-ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინა ჰიათურის მრეწველთა საბჭომ და ბ. კაკაბაძის პირველი ნაცადი მოწონებულიც იქმნა ამავე საბჭოსა და მის საავათმყოფოს გამგეობისაგან... იგივე ნაწარმოები მოწონებულ იქმნა თფილისის „აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისაგან" და ამხანაგობა „ქართლი"—საგან. ქუთაისშიაც ბაზარი მოიპოვა...

ას საქმეს ახლა გაფართოება სჭირდება, მაგრამ რადგანაც დღევანდელ კრიზისის გამო ბ. იოსებ კაკაბაძე და მისი დამხმარე საბჭოც გზა მოჭრილნი არიან, მიტომ, ჩვენის რწმენით, ჩვენი საზოგადოება ვალდებულია ა. კაკაბაძეს და მის დაწყებულ საქმეს ხელი შეუწყოს, ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს...

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბ. ი. კაკაბაძეს სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისათვის თხოვნით მიუმართავს, რათა ამ გამგეობამ, ამავე ბანკის რწმუნებულთა დღევანდელ კრების დადასტურებით, შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს მას.

ბ. ი. კაკაბაძე დიდი საქმის ინციატორია და მიტომ გვინდა გვრწამდეს, რომ მის თხოვნას ბანკის რწმუნებულნი ღირსეულ და სათანადო ყურადღებით მოეკიდებიან.

ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, რომ ამ გვარი დახმარება-თანაგრძნობა სხვა კულტურულ ქვეყნებში ძალიან ფართოთ არის მიღებული. ასე მაგ.: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან თვით სახელმწიფო, თვით მთავრობა ეხმარება ინიციატორებს...

ჩვენში შეძლებული საზოგადოება მაინც უნდა ეხმარებოდეს ასეთებს... წაახალისეთ ისინი, ისარგებლეთ მათი დაკვირებითა და გამოცდილებით და კერძო საქმე ბოლოს ისე გაიზრდება, რომ ფართო საზოგადოებას შესამჩნევ სარგებლობას მოუტანს.

**ალ. ლოლაძე.**

## ლათინური კულტურა.

**(სიტყვა იტალიელ გულიემო ფერეროსა).**

შემდეგი, იხილე „სამშ." 80 №-რი.

ასეთი შენობები უფრო ხშირათ გვხვდებიან რომში, შევადაროთ ავგუსტის საგვარეულო სასაფლაო ადრიანისას; აგრიპპას პანთეონი კარაკალლას სასახლე, დიოკლეტიანეს ვეებერთელა შენობებს და თქვენ დაინახავთ, რომ შენობები თანდათან, დროთა განმავლობაში, იზრდებოდა მაგრამ ამას გარდა საგულისხმო ის არის, რომ ეს შენობები ქვითა და აგურით გვიამბობს ჩვენ იდეათა და გრძნობათა ისტორიას. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, რომი კეთილშეზავებული, წყნარი და მშვიდი სახელმწიფო იყო; მას ეშინოდა სიმდიდრის, ოქროსი, ხელიდან უშვებდა ისეთს შემთხვევებს, რომლითაც შეეძლო დიდი ტერიტორიის შეძენა, მისაკუთრება. ამ დროში მყოფს რომის მმართველებს სურდათ დაეარსებიათ, შეექმნათ არა **„დიდი"**, **ვებერთელა**, არამედ **დიდებული** იმპერია, იმპერია ისეთი, როგორითაც ამაყობდა აღმოსავლეთის ხალხი. არჩეულ უმცირესობის მმართველობის ქვეშ მყოფი, რომი ეწეოდა არა მარტო პოლიტიკას, არამედ ხალხის გემოვნებასაც ანგარიშს უწევდა, რომი ჰბაძავდა საბერძნეთს სწორეთ იმ დროს, როდესაც საბერძნეთში ცივილიზაციის კვირტები იფურჩქნებოდა, რომს შეეძლო საბერძნეთს გვერდში ამოდგომოდა და მასთან ერთად წარსულიყო სწორი გზით, მაგრამ სიმდიდრემ, უსაქმობამ, ღინჯმა რწმენამ მაინც თავისი გაიტანა და რომაული სული გამოიცვალა. ინტელიგენციის ფერი, რომელიც მართავდა საუკუნეთა განმავლობაში ხალხის გემოვნებას, გაქრა, რაღაცამ ჩანთქა; მასსა, ხალხი გაიტაცა აღმოსავლეთის ცივილიზაციამ; ხალხს გაეღვიძა დაუშრეტელი წყურვილი სიამოვნებისა, დროს გატარებ სადმი და ამ წყურვილთან ერთად მან მოინდომა, გამხდარიყო „დიდი", „ვებერთელა."

რამდენი ანალოგიური მაგალითი შეიძლება, მოიყვანოს კაცმა ყველა ლათინური ერის ისტორიიდან—ესპანიის, იტალიისა და საფრანგეთის ცხოვრებიდან. მაგალითად, ვენეცია: საკმარისია, გაიაროთ დიდი არხით, რომ დაინახოთ, თუ რამდენათ პატარა სახლებია აშენებული რესპუბლიკის შემქნელ თაობისაგან და რამდენათ დიდი და თვალ უწვდენელი არის ძველ რომაელთა მიერ შექმნილი პალატები, რომლებშიაც ისინი დღესასწაულებდენ ვენეციის მხიარულ გასვენებას.

საბერძნეთს შემდეგ ცხოვრება ბრძოლათ გადაიქცა: დიდებულების ღმერთები (ვსთქვათ ძველი ბერძნების ენით) დაეჯახენ სიძლიერის ღმერთებს.

ამ ორი ბანაკის შორის ბრძოლა სუყველგან თვალსაჩინო ხდებოდა: ლიტერატურაში, ომში, პოლიტიკაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში· ყოველთვის იარსებებენ და არიან კიდევაც ისეთი ადამიანები, ერები, სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ შექმნან, გააკეთონ რაიმე დიდებული და შექმნან, გააკეთონ რაიმე დიდი, ვეებერთელა. მიმოვხედოთ ჩვენს გარშემო: განა ჩვენ არ განვიცდით იმ კრიზისის შედეგებს, რომელშიაც მთელი ქვეყნის გული სცემს?.

(შემდეგი იქნება).

**სტ. ლევან ყიფიანი.**

## ახალი ამბავი.

**ქუთაისის გუბერნიის თავ. აზნაურთა კრება.** 15 მაისს, ქართული გიმნაზიისდარბაზში, გუბერნიის თავ. აზნაურობის წინამძღოლის თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავჯდომარეობით მოხდა ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა არაჩვეულებრივი წლიური კრება. კრების გახსნის თანავე ბ. თავჯდომარემ საზოგადოებას მოაგონა დიდებული მგოსნის აკაკის და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ ლევანის ძის გელოვანის გარდაცვალება. კრებამ განსვენებულების ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივისცა.

აგრეთვე ფეხზე ადგომით პატივი სცეს ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულ მოძმეების ხსოვნას.

შემდეგ დეკანოზ მამა აბესაძის მიერ დიდებული აკაკისა, თავ. გელოვანისა და სხვების სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნა პანაშვიდი.

კრებაზე რამდენიმე პირმა წინადადება შეიტანა რომ უსათუოთ დეპუტატია საკრებულოს დარბაზში დაკიდებულ იქნეს აკაკისა და ვარ. ლ. გელოვანის სურათები.

შემდეგ კრება შეუდგა საკითხების გარჩევას. კამათი გამოიწვია, თუ როგორ დაეფარათ სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის ვალები, ეს შენობა საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული ყოფილა 151000 მანეთად. კრებამ დაადგინა. ეთხოვოს ბანკის გამგეობას, რომ ახლანდელი ვალის პროცენტები ბანკში შეიტანოს და შემდეგ, როცა ბანკის საქმეები გაუმჯობესდება, ეთხოვოს ბანკის გამგეობას, რომ ეს ვალი ნაწილნაწილათ ჩამოიწეროს.

მსჯელობა იქონიეს ქართული გიმნაზიის ჯამაგირების საკითხის შესახებ. ამ გიმნაზიის მასწავლებლებს უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში ფული არ მიუღიათ. ბ. ს. ა. ქვარიანმა კრებაზე წინადადება შეიტანა, რადგანაც ქართული გიმნაზია ემსახურება არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ ამ გიმნაზიაში სწავლობს ყველა წოდების შვილები,—ეთხოვოს მთავრობას, რათა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საერობო თანხიდან მოგვცეს ავანსათ 30—40 ათასი მანეთი. ბ. ქვარიანის წინადადება ოქმში იქმნა შეტანილი და დეპუტატები და მარშლები კერძო კრებაზე განიხილავენ.

კრებამ აგრეთვე დაადგინა დეპუტატთა საკრებულოსათვის შეიძინონ ოლდენბურგის ქუჩაზე სვიმონოვის ორ სართულიანი სახლი. ეს სახლი სათავად-აზნაურო ბანკს დაგირავებული აქვს 22,000 მანეთში.

შემდეგ კრებას სენაკის სკოლის გამგემ ბ. ლორთქიფანიძემ გააცნო ამ სკოლის უმწეო მდგომარეობა და ითხოვა, რომ თავად-აზნაურობას ყურადღება მიექცია. კრებამ დაადგინა ამის შესახებ ეთხოვოს ბანკს, რომ რაიმე ყურადღება მიაქციონ.

დასასრულ იმსჯელეს ახალი კანონის შესახებ, რომლის ძალითაც ყველა [illegible] ნება ეძლევათ კერძო სასწავლებლებში ყველა საგნები გარდა [illegible] ლი სიტყვიერებისა, [illegible] სული ისტორიისა, ასწავლონ დედაენაზე. ამ კანონის ძალით სასწავლებლებს ისევ ახლანდელი უფლება რჩებათ, მხოლოდ გამოცდები უკანასკნელ კლასებში რუსულ ენაზე უნდა ჩააბარონ. ქართ. გიმნაზიის გამგემ ბ. ი. ი. ოცხელმა კრებას წაუკითხა პედაგოგიური საბჭოს მოხსენება. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს ხსენებული სასწავლებლის პედაგოგები თფილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგებთან ერთად სახელმძღვანელოების შესადგენათ თადარიგს უკვე შესდგომიან. გიმნაზიის გამგეობას განზრახვა აქვს, რომ მომავალი წლის სეკტემბრიდან ქართულ ენაზე სწავლება მოაწყონ მოსამზადებელსა და გიმნაზიის პირველ კლასში.

ამის შესახებ ბ. ს. ა. ქვარიანმა წინადადება შეიტანა, რომ თავრობას სთხოვოს რათა მოგვცეს უფლება რომ უკანასკნელი გამოცდები მოწაფეებს ქართულ ენაზე ჩავაბარებინოთო. ეს თხოვნა მით უფრო საფუძვლიანიაო,—დასძინა მან—რომ მთავრობამ ეს უფლება მიანიჭა პოლონელებსო.

კრებამ ეს წინადადება მოიწონა.

✦ მოვაგონებთ ქუთაისის საზოგადოებას, დომ დღეს, 17 მაისს, ქალაქის თეატრში იმართება მეტად საყურადღებო სალამო სალიტერატურო, საკონცერტო დრამატიული და იუმორისტიული განყოფილებით. იმედია ქუთაისის საზოგადოება სალამოს დაესწრება.

✦ ჩვენმა რედაქციამ მგოსან აკაკის ზეპირსიტყვაობის ფონდის გასაძლიერებლათ ქ-ნ კნ. ელენე ნიჟარაძისაგან მიიღო 10 მანეთი; ეს ფული შეგროვილია ზედა მაღლაკში. ფული გადაეცემა დანიშნულებისამებრ.

### დ. საჩხერე.

დ. საჩხერეში მუმლაძის სადალაქო დუქანში რევოლვერით თავი მოიკლა ჯანღონით სავსე 17 წლის ახალგაზდამ, ჰიჰიკო ქამუშაძემ. მიზეზი თვითმკვლელობისა გამოურკვეველია.

— აქ ნავთის სიძვირეა. ზოგიერთი თავგასული ვაჭარი ნამალავათ გირვანქა ნავთს 17 კაპიკათ ჰყიდის.

— ამ მოკლე ხანში მოხდება საჩხერის სამკითხველოს წევრების საზოგადო კრება. კრებაზე განიხილვენ 31 მაისს სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ ლიტერატურულ სალამოს შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს.

— განზრახვა აქვთ ამ ახლო მომავალში სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენა გამართონ. იმედია, საჩხერის საზოგადოება ამ წარმოდგენას ბლომათ დაესწრება.

— აპრილის სიცივეებმა საჩხერის რაიონის სოფლები დიდათ დააზარალა. ხალხს მომავალი მოსავლის იმედი ნაკლებათ აქვს. ყველაზე ზედმეტათ დაზარალდენ შემდეგი სოფლები: ბჟინევი, ქორეთი, ითხვისი, კასიეთი და კალავათა.

### თერჯოლა.

როგორც თერჯოლიდან გვწერენ, ხშირი წვიმებისა და სიცივეების გამო სიმინდი ჯერ ვერ დაუთესიათ. ვაზის ყლორტებიც ხეირიანად ვერ იზრდებაო. შაბიამანის სიძვირის გამო გლეხებს ვენახები მოურწყავი რჩებათ.

— თერჯოლის საბატონიშვილო მამულში ბატონის მოურავმა საძოვარ ადგილებში საქონლის დაჭერა შემოიღო და სულში 3 აბაზს ახდევინებს, ნაცვლათ 6 შაურისა. წინათ მთელ წელიწადს ბატონიშვილის ნებართვით შეეძლოთ გლეხებს ეძოვებიათ საქონელი მის მამულში. ბატონიშვილი ამ ჟამათ ქუთაისში ცხოვრობს და გლეხებს იმდენი ვერ მოუხერხებიათ მივიდენ და სთხოვონ, რათა გაათავისუფლოს იგინი ამ ზედმეტი დაბაჟვისაგან.

### კალუათა.

სოფელ კალუათიდან გვწერენ: საზოგადო ყრილობამ განაჩენი დაადგინა, რომლის ძალითაც მიცვალებულის დასაფლავების დღეს აკრძალულია ქელეხის გამართვა.

ღვინისა და სიმინდის ფასმა ძლიერ აიწიაო—გვწერენ იქიდანვე.

### თფილისი.

— სალიტერატურო სალამო პოეტის ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლათ. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭომ საბოლოოდ შეიმუშავა პროგრამა სალიტერატურო სამხატვრო და სამუსიკო

საღამოსი, რომელიც 23 მაისს უნდა გაიმართოს თფ. სახაზინო თეატრში პოეტის ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლად. საღამო სამის მრავალ-მხრივის განყოფილებისაგან შესდგება. საღამოში თვით პოეტი ვაჟა-ფშაველაც მიიღებს მონაწილეობას დაწვრილებით პროგრამას სიტყვა-კაზმულ საზოგადოების საბჭო ხვალ გამოაქვეყნებს გაზეთებში. ბილეთები უკვე იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

— მისაბაძი მაგალითი. როგორც ვიცით, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების სტიპენდიანტები მოვალენი არიან, რომ სწავლის დასრულების შემდეგ შეძლების დაგვარად ნაწილ-ნაწილად დააბრუნონ სტიპენდიის სახით წაღებული ვალი. ფულის დაბრუნების მაგალითი დღემდე მხოლოდ ერთი იყო. ახლა ასეთი მაგალითი მეორეც არის. იოსებ გიორგის ძე ავალიშვილმა, წ.-კ. საზოგადოების სტიპენდიანტად ნამყოფმა, საზოგადოებას 20 მან. დაუბრუნა და განუცხადა, რომ ყოველ თვეს 20 მან. შეიტანს, ვიდრე სრულიად არ გადაიხდის წაღებულ ფულს. საჭიროა ამ მაგალითს იმათ მაინც მიბაძონ, ვისაც ამის საშუალება აუცილებლათ აქვთ.

— თფ. ქართული გიმნაზია წელს 43 მოსწავლემ გაათავა და სიმწიფის მოწმობებიც მიიღო.

**ქართველთა შ. წ.-კითხვის საზოგადოების ქუთ. განყ. სასარგებლოდ 10 მაისს გამართულ სეირნობისთვის შემოსწირეს:**

ქ. თეოდოსი ქვარიანისამ—2 მან., რაფიელოვმა და ჩაკვეტაძის მაღაზიამ—1 დიდი თეთრი ლითონის საყავე და 1 დიდი სანახევროთ ლითონის საშაქრე, მარიამ ლეკვინაძემ—25 არშ. წვრილი ლენტი, ილარიონ მოწონელიძემ—2 ქაკეტკა, აბრეშუმის შარფი, ლენტი და გალსტუკი, პეტრე ერიქოვმა—1 ზარა, სიმონ და ილია ფირჩხაძეებმა—4 არშინი ჩითი და 5 არშ. შალი, დიმიტრი ბახტაძემ—6 ნაჭერი საპონი, 3 დუჟინი გახამებული საყელო, ფოლაქები, 6 პორტმანი და 6 მორგვი ძაფი, ნესტორ კიკაბიძე და ელიზბარ ზვიადაძემ—1 ჯუჯიმის აბგა და ორი მოქარგული სპარსული ბალიშის საპირე ხავერდის, ევგენი ბარათაშვილმა—6 ნაჭერი საბლუზეები, ნესტორ ბარაბაძემ—სარკე, გარმონია, დედოფალა, საფულე, სათუთუნე, ქამარი ქალის, საპონი, ჩოთქი, ილია ხახანაშვილმა—1 ჯაყვა, მარგატელი, დედოფალა, 12 ცხვირსახოცი, 2 საბლუზე და 6 ჩაის კოვზი, მაქსიმე მანაგაძემ და ალიბეგოვმა—ფეხის გასაწმენდი დიდი, მიხეილ ჩიქვაშვილმა—1 საყელო, 3 ქამარი, პორტმანი და ფოლაქი, იკობ და ბესარიონ ბოკუჩავებმა—1 შარფი, სავარცხლები, სხვა და სხვა, ძმ. ფირხაძეები გაბრიელ, რუბენ და ზებივგელმა, ლვედი, საკვოიაჟი და გაროზის შალი, კნ. ქრისტინე ჩიქოვანისამ—1 გრაფინი, 3 სამარილე და 1 ფინჯანი ლამბაქით, კნ. ანასტასია გელოვანისამ—ორი ვაზა ყვავილის, კნ. მენიკი გელოვანისამ—1 გრაფინი, ორი ჩაის ჭიქა, 1 საშაქრე, 1 ჩაის საწური და 1 საარაყე ჭიქა, თავ. გელოვნის ასულმა ელეონორამ—1 საფერფლე, ლიუბა გოცირიძის ასულმა—1 მ. ანეტა წერეთლისამ 2 მ., აგრაფენა გოგოლაშვილისამ—1 მ., სონია გიორგაძისამ—1 პირსახოცი, თამარა კენკაძისამ—1 საარაყე სურა და 1 საფერფლე, სალომე ბარქაიამ—1 მ., ნინო დათეშიძის ასულმა—1 ფინჯანი თავისი ლამბაქით. მარიამ ჯაყელის ასულმა—1 ტილოს პირსახოცი, პაშა დათეშიძისამ—1 ბალიშის პირი ხავერდით მოქარგული, ამ უკანასკნელმა ქ-ნ დათეშიძისამ მოაგროვა 15 პირისაგან ზემო აღნიშნული ნივთი თუ ფული.

## მწერალი ქალი

**კნ. ქრისტინე როსტომ ლორთქიფანიძის ასული დგებუაძისა.**

(იხილეთ დღევანდელი დამატება).

ქართველ მწერალ-მოღვაწეთა წრეში ბევრია ისეთი მწერალი, რომელიც თავისი ჩუმისა და წყნარი ლიტერატურული შრომით პატივისცემისა და წაქეზების ღირსია.

თუ ბედს არ გაუღიმია მათთვის, ფართე მასას არ შეუნიშნავს და ჯერ არ დაუფასებია ასეთ მწერალთა შრომა, ეს უნდა მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ ეს ჩუმი მუშაკნი არა ჰგვანან იმ მყვირალა „ახალ-მოდის“ მოლექსეებს რომლებიც ყოველ დღე თავს გვაბეზრებენ.

სასარგებლო და არა მყვირალა მწერალთა გუნდს ეკუთნის პატივცემული ქალი-მწერალი ქრისტინე დგებუაძისაც.

კნ. ქრისტინე, თ-დ როსტომ ლორთქიფანიძის ასული დგებუაძისა დაიბადა, ს. ტყაჩირში 1858 წ. 12 იანვ. ქართული ენა და მწიგნობრობა შეისწავლა დედმამის ოჯახში, სადაც საკმაო ყურადღებას აქცევდენ ქართულად სწავლა-განვითარებას.

მწერლობა დაიწყო 1900 წელს და იბეჭდებოდა „ივერიასა“, „ვარსკვლავსა“, „კოლხიდასა“, „ერსა“, „იმერეთსა“ და ჟურნალ „ნაკადულში“.

დღესაც ქ-ნი დგებუაძისა გულმოდგინეთ განაგრძობს თავის ნაყოფიერ შრომას.

## დღევანდელ სეირნობის გამო.

დღეს ქალაქის ბაღში ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოების გამგეობა მართავს სეირნობას.

ეს საზოგადოება ინახავს ერთ შკოლას, სადაც იზრდება 12 უპატრონო ბავში. ერთად ერთი საშუალება ამ საზოგადოების არის შემოწირულება და წელიწადში ერთხელ გამართული სეირნობის შემოსავალი.

აი დღეს იმართება ეს სეირნობა და გამგეობა იმედობს, რომ მიუხედავათ წინანდელი ყოველგვარი გაჭირვებისა, ჩვენი გულკეთილი და შეგნებული საზოგადოება თავის წვლილს არ დააკლებს და ამით შეაძლებინებს მას კვლავ განაგრძოს უმწეო ბავშებზე ზრუნვა. თუმცა წელს ძალიან დატვირთულია ყველა ზედმეტი ხარჯებით, მაგრამ, სამხიარულოდ, გაჭირვება მაინც ვერ გვიხშავს იმ ძვირფასს გრძნობას, რომელიც ქველმოქმედებაში გამოიხატება. ამ მხრივ ქუთაისი კარგი მაგალითია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დღესაც დამტკიცდება. **მოკეთე.**

## წერილი საჩხერედან.

საქართველოს ბედი არ ჰქონებია. ბედის ბრუნვამ მას არ აკმარა, რომ მისი საუკეთესო შვილები ბრძოლის ველზე სიკვდილთან ერთად რუსეთის მტერს ებრძვიან და მას კიდევ ერთი უბედურება თავს დაატყდა. ვინც თვალს ადევნებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ის უეჭველია დამეთანხმება, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში თავი იჩინა შიმშილმა.

უკვე ფაქტია, რომ დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში სიმინდი აღარ არის და დღეს თუ ხვალ ხალხს შიმშილით სიკვდილი მოელის. ამ შემთხვევაში საჩხერის რაიონს ბედი სწევია...

ჯერ აქეთ შიმშილი ფაქტიურათ კი არა, თეორიულათაც არავის სმენია.

და ეს დიდი ბედნიერებაა!.. აქვე არ არის იმაში, რომ შარშანდელი მოსავალი წლევანდელ მოსავლამდი ეყოფა ხალხს.

მაგრამ უბედურება შემდეგ იქნება. თქვენ აქ არ გაოცდეთ. კარგათ მოიგონეთ, რომ მოსავლის გულ შემატკივარნი მარტო გლეხ კაცობა კი არ არის, არამედ იმათ გარდა სუფევენ კიდევ სხვა „გულ შემატკივარნი“ და ესენი ჩარჩები ანუ ვაჭრები არიან. თუ ხალხში შიმშილმა იჩინა თავი, მაშინ ხომ მათ მეჯლისი უდგებათ.

და რადგანაც საჩხერის რაიონში შიმშილი თავისით არ მობრძანდა, აქაურ ჩარჩებს სურთ, რომ, მეფე—შიმშილი ხელოვნური საშუალებით მოიპატიჟონ და ისედაც გაჭირვებულ ხალხს ტყავი გააძრონ. მათ ხელი მიჰყვეს ჭორების გავრცელებას. ჩუმათ სოფლიდან სოფელში დაძვრებიან ეს ჩვენი ხალხის „გულშემატკივარნი“ და ჭორებს ავრცელებენ. ამბობენ, ვითომც რუსეთს ჯარი გაეყვანოს კავკასიიდან და ჩვენს სამშობლოს თათრის შამოსევა მოელოდეს.

— რომ დასთესოთ რამე, ტყვილი შრომა იქნება, თათარი რომ შემოვა, მაშინ ყველაფერი მოიმდლვნებაო. პირველათ ამ ხმებს არავინ უჯერებდა, მაგრამ ახლა გარემოება შეიცვალა, რადაცა ეშმაკათ მოვიდა ხმა, რომ ბათომს ჰაეროპლანებიდან ყუმბარები დაუშინესო. ამის გამო საჩხერის რკინის გზის სადგურში შესწყდა რამოდენიმე ხნით სამგზავრო ბილეთების ყიდვა. ეს კი საკმაო იყო, რომ მთელ საჩხერის რაიონში ხმა გავრცელებულიყო, რომ არიქა, თავს უშველეთ, თათარი კვლავ მოდის, ბათომი და ქუთაისი უკვე დასცალესო.

ამ ხმებმა ახლა უკვე დააფრთხო გლეხკაცობა.

ამიტომ ვურჩევთ გულშემატკივარ პირებს, რომ ხალხი დაამშვიდონ, გააგებიონ, რომ თათრის შემოსევისაგან ყოველ შემთხვევაში ჩვენი სამშობლო უზრუნველყოფილია.

თორემ ისედაც გაჭირვებულ საჩხერის რაიონის გლეხკაცობას, მომავალში შიმშილი თავს დაატყდება და მათ გაჭირვების ცეცხლზე ჩარჩები ხელს მოითბობენ.

**ხაირხელი.**

## წერილი სად. მიხაილოვიდან.

(„მგზავრის“ საპასუხოდ).

გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მე-19 №-ში მოთავსებულია წერილი სად. მიხაილოვიდან ვიღაც „მგზავრის“ მიერ; წერილის ავტორი ეხება რა მიხაილოვის დეპოს მუშების ცხოვრებას, სიამოვნებით იგონებს „იმ მშვენიერ დროს, როდესაც ის და იმისი მსგავსი პირნი გრძნობდენ სულის სიმშვიდეს“, რადგანაც თვითონ ბატონობდენ და რაც უნდოდათ იმას ასრულებდენ მუშტითა და მუქარითა და არა კულტურული საშუალებით; თან მწარედ მოსთქვამს და სტირის, რომ ეს „სულის სიმშვიდე ხანგრძლივი არ გამოდგა“, „მგზავრისთანა“ პირების ბატონობას და ბრძანებლობას ბოლო მოეღო, მათ ყალბ მოძღვრებს ნიადაგი თანდათან გამოეცალა ფეხქვეშ და ამ ბობოლა ვაჟბატონებმა ნდობა დაჰკარგეს შემდეგ ეს ვაჟბატონი, პირადი ანგარიშებით შეიარაღებული, დაუმსახურებელ ბრალდებებს მაწერს და, დობეს ამოფარებული, ტალახს ესვრის ჩემს პიროვნებას მით, რომ წარბ-შეუხრელად ბრძანებს: „დეპოში ჯაშუშობამ იჩინა თავი, უბრალოთ აჯარიმებენ და ითხოვენ მშრომელთო, თვითონ კი თავის უფროსებთან ერთნაირი ნდობა მოუპოებიათო, ხაზინას სძარცვავენო, ქურდობაში განთქმული არიანო; ერთი ასეთი უფროსი ხელოსანთაგანი, რომელმაც 1905 წელში მოძრაობის დროს ქურდის სახელი დაიმსახურაო, დღეს დეპოს არასაიმედო პირთ სათავეში უდგიაო, აქეზებს ერთმანეთის წინააღმდეგ მუშებსო და ძირს უთხრის მშვიდობიანობასო და სხვა...“ ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია და, როგორც მოგახსენეთ, გამოწვეულია პირადი ანგარიშებით და სიხარბით, რადგანაც ასეთი ვაჟბატონების მეფობას ბოლო მოეღო; მიხაილოვის დეპოში უფროს ხელოსნად მე გადმოყვანილი ვარ 1908 წლიდან, 1905—6—7 წლებში მე მორეულისში ვმსახურებდი და „მგზავრისთანა“ ოჩნსა და ზარმაც პირებს ბევრს ვინახავდი სამაღლოთ, მაგრამ დღეს ახსოვთ განა ეს პატივისცემა?!.. თქვენისთანა პირებს ბ. მგზავრო, მოსწონდათ ისეთი უფროსი, რომელიც სულ მუდამ თქვენს დუდუკზე იხტუნებდა, მით თქვენც დაგღუპავდა და თავისთავსაც, და რადგანაც მე ასე არ ვმოქმედებდი ყოველთვის, იმიტომ ღირსი ვარ განა თქვენ მიერ ასეთი შემკობისა?! მე ვაფასებ ყოველი მუშის შრომას და კიდევაც თავის დროზე ვაფრთხილებ მათ, რათა პატიოსნად შეასრულონ თავისი მოვალეობა, ამასთანავე მიყვარს მათთან დაახლოება და თავისუფლების დროს შეკრიბებით და კიდევაც ქართველურად ვპურმარილობთ ხოლმე, რაც მე სირცხვილად არ მიმაჩნია. — ამით ვათავებ თქვენთან ლაპარაკს, შეიძლება თქვენ მოცლილი ბრძანდებით, მე კი 60—80 მუშა კაცის საქმე მაბარია, დილიდან საღამომდი კანტორაში ვზივარ და ვმუშაობ.

დეპოს უფროსი ხელოსანი

**დ. ტყეშელაშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ბ-ნო რედაკტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციისაგან აჯანყების სასარგებლოთ შემოწირული 186 მანეთი და ათი შაური, რომელიც სილ. ხუნდაძეს ებარა და, თანახმად გაზ. „სამშობლოს“ ამ წლის № 42-ში დაბეჭდილი წერილისა, ქუთაისის ხაზინაში ინახებოდა, მდგომარე მაისის 15-ს ჩავიბარე სილოვან ხუნდაძისაგან. ამ ფულს მიემატა კიდევ იმავე გიმნაზიის მასწავლებლის ვოლსკის ასულის ბარბალეს მიერ შემოწირული 5 მან. და ხაზინის $^0/_0$ 84 კაპ. ასე რომ მივიღე სულ 192 მან. და 24 კაპ.

ქართ. სახელ. საზ. ქუთ. განყოფ.

ხაზინადარი **გრ. გველესიანი.**

## ჩვენი ფოსტა.

კორესპონდენტთა საყურადღებოთ. ხელმოუწერელსა და უსუფთაოდ დაწერილ წერილებს რედაქცია უყურადღებოთ დასტოვებს. ვსთხოვთ ჩვენს პატივცემულ კორესპონდენტებს, გამოგზავნონ ხოლმე ქაღალდის ცალ გვერდზე სუფთად და გარკვევით გადაწერილი წერილები და უეჭველათ აღნიშნონ ხოლმე დღე და რიცხვი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ჭუინცაძე.**

## გ ა რ ე შ ე ც ნ ო ბ ა.

**შანტაჟისტების საყურადღებოთ.**

მივიღე თქვენი დამუქრების უსახელო წერილი, რომელშიაც მიბძანებთ ორასი თუმანი წარმოგვიდგინეო, წინააღმდეგ შემთხვევაში შევიქნები ჩემი ოჯახობით თქვენი მსხვერპლი. სამწუხაროდ, გიცხადებ, რომ არ შემიძლია დავაკმაყოფილო თქვენი ბძანება და სურვილი იმიტომ, რომ არა მაქვს მაგდენი ფული და ვერც შევსძლებ შოვნას. თუ ხედავთ იმას, რომ შევიძინე ერთი სახლი არა თვალსაჩინო ქუჩაზე,—ეს გახლავთ ჩემი დაულალავი ოცდახუთი წლის ნაშრომი უცხო ქვეყანაში და არა ქუთაისში. ამ ჟამათ მე მაქვს საცხოვრებელი საშუალება მხოლოდ იმით, რომ ყოველ თვეში მიგზავნიან თუთხმეტ თუმანს და ამას ვხარჯავ ჩემს ოჯახში და ეს არის ერთად-ერთი წყარო ჩემის ცხოვრებისა და დავრჩები უსაქმურათ. თუ ნამდვილათ გნებავთ მოგორთ ფოშტალიონისაგან, რომელსაც მოაქვს ჩემს ბინაზე ფულის უწყება. სხვა ბანკებში, ან სადმე თუ ფული გეგულებათ ჩემგან შენახული ანუ გასესხებული, ამოაჩინეთ და, ორასი თუმნის მაგიერ, ოთხას თუმანს მოგართმევთ. თუ მართლა გაჭირვებული ხართ და დახმარებაა საჭირო, მოდით ვაჟკაცურათ და პირადათ მნახეთ; გაძლევთ პატიოსან სიტყვას, დაგეხმარებით, რითაც შევიძლებ ჩემის მდგომარეობის დაგვარ. გარწმუნებთ, რომ არც თქვენი დამუქრებისა და არც სიკვდილის არ მეშინია. ამ ჩვენმა მეოცე საუკუნემ ბევრათ ჩემზე უკეთესი ადამიანები იმსხვერპლა, დეე, მეც გავხდე მსხვერპლი თქვენი ბოროტი და ავაზაკური მოქმედებისა.

X.


**გაყიდულია ორ მილიონ ბანკაზე მეტი.**

**ახალგაზდობასა და სილამაზეს გვრის**

**ქალის ყოველგვარ სახეს.**

**კ რ ე მ ი კ ა ზ ი მ ი**

**მ ე ტ ა მ ო რ ფ ო ზ ა**

—სავსებითსპობს ჭორფლს,—

ფერმკვამელას, სახის ნაოჭებს, მზისაგან დამწვარს და ყოველგვარ სახის ნაკლულოვანებას.





დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО“**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებარი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

**ფ ა ს ი 60 კ ა პ.** წ.

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

**„თეატრი და ცხოვრება“-ზე.**

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით

ფ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**


სწრაფ-ბეჭდვითი სტამბა ა. ი. ძოწენიძისა—ქუთაისში.